სასწავლო კურსის სილაბუსი

1. ინფორმაცია სასწავლო კურსის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა:	ფსიქოლოგია
სწავლების საფეხური:	ბაკალავრიატი
სასწავლო კურსის სახელწოდება:	კონფლიქტების მართვის თეორია და პრაქტიკა
კრედიტების რაოდენობა:	6

2. სასწავლო კურსის განმახორციელებელი

სახელი, გვარი:	ალექსანდრე რუსეცკი
თანამდებობა:	ფსიქოლოგიის დოქტორი , ასოცირებული პროფესორი
ტელეფონი:	555 122375
ელ–ფოსტა:	Alex_scirs@yahoo.com

3. სტუდენტის დატვირთვა

ლექცია:	13 საათი (სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირების განმავლობაში, კვირაში 1 საათი)
სემინარი:	26 საათი (სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კვირების განმავლობაში, კვირაში 2 საათი)
შუალედური გამოცდა	2 საათი
დასკვნითი გამოცდა	3 საათი
დამოუკიდებელი მუშაობა	106 საათი

4. სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა

დაშვების წინაპირობა არა აქვს.

5. სასწავლო კურსის მიზანი

სასწავლო კურსის მიზანია, სიმ-მეთოდის მეშვეობით, სტუდენტებს გადასცეს კონფლიქტების მართვის თეორიის და პრაქტიკის შესახებ ზოგადი სისტემური ცოდნა და მათი ინდივიდუალური ინტერესებიდან და კარიერის განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე შესაბამისი ინდივიდუალური ცოდნის პაკეტი. მოახდინოს სტუდენტების შეიარაღება იმ ცოდნით, რომელსაც ისინი პროფესიულ ცხოვრებაში პრაქტიკულად გამოიყენებენ.

6. სწავლის შედეგები

<u>ცოდნა</u>

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები შებულობენ ცოდნას:

- ინტრაპერსონალური კონფლიქტები;
- ინტერპერსონალური კონფლიქტები;
- ჯგუფთაშორისი კონფლიქტები;
- სოციალური კონფლიქტები;
- პოლიტიკური კონფლიქტების

ასევე სხვა ტიპის და სახეობის კონფლიქტების შესახებ ინფორმაციას.

 გაცნობიერება

სტუდენტები აცნობიერებენ კონფლიქტოლოგიის საგნის მნიშვნელობას და ასევე იმ ცოდნის მიღების აუცილებლობას რომელსაც ისინი ღებულობენ სწავლის პროცესში. ისინი აცნობიერებენ, რომ კონფლიქტოლოგის ცოდნა დაეხმარებათ მათ პროფესიულ მოღვაწეობაში და ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

სტუდენტები იკვლევენ სხვადასხვა კონფლიქტში საკუთარი ჩართულობის ხარისხს და სწავლობენ ამ კონფლიქტების მართვას და ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას.

- დარგობრივ სფეროში კომპლექსური კონფლიქტური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით;
- კონკრეტულ სიტუაციებში მიღებული გადაწყვეტილებების შეფასების და ინტერპრეტაციის უნარი.

სტუდენტს შეუძლია:

- კონფლიქტის დიგნოსტირება - მხარეების (სუბიექტების) და შესაბამისი ობიექტების დადგენა;
- კონფლიქტების სურათის ანალიზი;
- ანალიზის შედეგად მიღებული ცოდნის სინთეზირება;
- კონფლიქტის ევალუაცია (შეფასება).

სწავლის უნარი

პროფესიული ცოდნის მუდმივად განახლებისა და ახალი ცოდნის შეძენის უნარი;
სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;
სინთეზირების უნარი;
შეფასების და თვითშეფასების უნარი;
თვითგანათლების უნარი;
გაცნობიერებული განათლების უნარი;
მეტაკოგნიტური უნარები.

დასკვნის უნარი

საგნის შესწავლის შედეგად სტუდენტებს მიეცათ კონფლიქტების სწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და შეიძინეს პროცესების იდენტიფიცირების უნარი;
სტუდენტებმა შეიძინეს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზისა და სინთეზის უნარი და შეუძლიათ კონფლიქტების ადეკვატური ობიექტური აღქმა, დიაგნოსტირება და მსჯელობა მათი გადაჭრის შესახებ; დაეუფლენ კონფლიქტების ანალიზის უნარს, აქვთ მსოფლიო მოვლენებისა და პოლიტიკის საერთაშორისო და ნაციონალურ კონტექსტში გააზრების უნარი და შეუძლიათ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

Of-line და on-line კომუნიკაციის უნარი

სტუდენტებს შეუძლიათ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; გამოუმუშავდათ ჯგუფში მუშაობის, პრეზენტაციის, დისკუსიის და კრიტიკული აზროვნების უნარი.

ღირებულებები

სტუდენტი აღიარებს ღირებულებათა კონფლიქტის არსებობის პრობლემას და მიღებული ცოდნის შესაბამისობაში ცდილობს ამ კონფლიქტის მოგვარებას, ტრანსფორმაციას, ან პრევენციას. სტუდენტი და პროფესორი ორიენტილებულები არიან ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე. კურსი ითვალისწინებს პედაგოგიკის აღმზრდელობითი ფუნქციის მნიშვნელობას.

7. სწავლა-სწავლების საავტორი სიმ-მეთოდი

სასწავლო კურსი დაფუძნებულია საავტორო სიმ-მეთოდზე, ითვალისწინებს ცნობილ და ექსკლიუზიურ პედაგოგიური პრაქტიკების კომბინაციას. ორიენტირებულია სასწავლო/პროფესიული ბედნიერების დეპრივაციის ხარისხის მინიმალიზაციაზე და ხელს უწყობს სასწავლო და პროფესიული ბედნიერებისაკენ პიროვნების განვითარებას.

გამოყენებული ალექსანდრე რუსეცკის საავტორო სიმ-მეთოდი (სწავლა-სწავლებს ინტეგრირებული მეტაკოგნიტური მეთოდი) მეთოდი ორიენტირებულია სტუდენტის და პროფესორის სტრატეგიულ თანამშრომლობაზე და კონკრეტული შედეგების მიღწევაზე. მეთოდი წარმოადგენს ტრადიციული და ინოვაციური, ექსკლიუზიურ ტექნიკების კომბინაციას. მეთოდი ორიენტირებულია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შექმნაზე, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის და პროფესორის თანამშრომლობის პირველ პროდუქტს. ამის საფუძველია თვითშემეცნებაზე და გააზრებულ განათლებაზე ორიენტაცია.

მეთოდი ითვალისწინებს დიმიტრი უზნაძის მოდერნიზაცია/რეკონსტრუქციის პრინციპს. პიროვნების პროფესიულ ადაპტაციას და პროფესიის (საგნის) მორგებას სტუდენტის ღრმა პროფესიულ ინტერესებზე, რომლებიც დგინდება სიმ-დიაგნოსტიკის მეთოდით. მიღებული ცოდნა იქნება თავსებადი სტუდენტის კარიერის სტრატეგიასთან და თვითგანათლების გეგმასთან. სტუდენტს უნვითარდება თვითშემეცნების კულტურა. იგი ახერხებს ინტრაპერსოალური პროფესიულ იდენტობათა კონფლიქტის მოგვარებას ან ტრანსფორმაციას, რაც ხელს უწყობს მისი პროფესიული იდენტობის გაძლიერებას, პროფესიულ ადაპტაციას და არა მხოლოდ პროდუქტის შექმნას, არამედ შედეგის მიღწევას.
სემესტრალური ნაშრომი („რეფერატი“), პროექტი იქნება გამოტანილი კონფერენციაზე, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი უნარჩვევების განვითარებას და სტუდენტის ინდივიდუალური პროექტის პრომოციას. საუკეთესო სტუდენტები მიიღებენ ცალკე სერტიფიკატს რომ გავლილი აქვთ ეს კურსი. ასევე შედეგები იქნება ასახული მათ პროფესიულ რეზიუმეში.
სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებში და გაიარონ სტაჟირება და პრაქტიკები პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებთან.

სიმ-მეთოდი ასევე გულისხმობს სტუდენტების დასაქმების და პროფესიული ადაპტაციის ხელშეწყობას კონფლიქტოლოგიის მიმართულებით.

პროფესიით ფსიქოლოგი-ბაკალავრი შეიძლება დამატებითი ცოდნის მიღების შედეგად გახდეს კონფლიქტების მართვის სპეციალისტი (ფსიქოლოგი-კონფლიქტოლოგი), მიიღოს შემდეგი სპეციალიზაციები და ვიწრო სპეციალიზაციები და ღირსეულად დასაქმდეს შემდეგი მიმართულებებით:

1. ფსიქოლოგი-კონსულტანტი კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით;
2. ინტერპერსონალური კონფლიქტების მართვა;
3. პროფორიენტაციული კონფლიქტების მართვის სპეცილაიზაცია;
4. ფსიქოთრაპევტი - კონფლიქტოლოგი;
5. ოჯახური კონფლიქტების მართვის სპეციალიზაცია;
6. სკოლამდელი, სკოლის, უნივერსიტეტის (ზოგადად უწყვეტი განათლების) ფსიქოლოგი - კონფლიქტოლოგი;
7. ორგანიზაციული კონფლიქტების სპეციალიზაცია;
8. ეთნიკური კონფლიქტების სპეციალიზაცია;
9. რელიგიური კონფლიქტების სპეციალიზაცია;
10. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალიზაცია
11. პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის სპეციალიზაცია;
12. რეაბილიტოლოგი;
13. ვიქტიმოლოგი - მსხვერპლთან მუშაობის სპეციალიზაცია;
14. ისტორიული მეხსიერების სპეციალიზაცია;

15. მომლაპარაკებელი;
16. ფასილიტატორი;
17. მედიატორი;
18. არბიტრი;
19. მოდერატორი;
20. მონიტორინგის სპეციალიზაცია;
21. დამკვირვებელი;
22. ევალუატორი;
23. სამშვიდობო პროცესების დამგეგმავიდა/ან განმახორციელებელი - სამშვიდობო მისიების და კომისიების მენეჯმენტი
24. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალიზაცია - დიპლომატი (პოლიდიპლომატიის სხვადასხვა სახეობების წარმოამადგენელი);
25. პროგნოზირების და პროფილაქტიკის სპეციალისტი;
26. კრიზისების მართვის სპეციალისტი;
27. პოლიტიკური ორგანიზაციების მენეჯერი;
28. პოლიტიკური ტექნოლოგი;
29. პოლიტიკური მარკეტინგის სპეციალისტი;
30. პოლიტიკური მიმომხილველი;
31. კონკურენტებთან ურთიერთობის სპეცილიზაცია;
32. კორპორატიული და ქსელური სისტემების მართვის სპეციალიზაცია;
33. პრესსამსახურების და ინტეგრირებული კომუნკაციების მართვის მენეჯმენტი
34. საინფორმაციო-ფსიქოლოგიური უსაფრთხოების სპეციალისტი და **ა.შ.**

გამომდინარე იქედან, რომ იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს შესაბამისი სპეციალობა, სპეციალიზაცია და ვიწროსპეციალიზაცია, ან ფსიქოსინთეზის და სხვა სიმ-ტექნიკების მეშვეობით შექმნას ახალი.

კონფლიქტოლოგები საქმდებიან ეკონომიკის სამივე სექტორში - სახელმწიფო ორგანიზაციები; ბიზნეს-სექტორი; არასამთავრობო ორგანიზაციები. როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეებზე.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა რომ გახდნენ საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციის - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის ინტერნები და მიიღონ შეაბამისი სერტიფიკატი.